წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 2 ივლისი 1915 წ. № 33

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская, 4 поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

პირველხარისხოვანი

„კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაზედი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინვი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

გამოვიდა ახალი ქართული წიგნი

პედაგოგიურ კითხვების გარშემო

ვას. ჯაფარიძისა და იაკ. ზედგინიძისა

ფასი 20 კაპ.

5—2

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გორში

ექიმი ნ. ძ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ომის დღიური

მიმოხილვა

მთელ გალიციასა, ლიუბლინ—ხოლმის პირსა და ვისლის მარცხენა ნაპირზე თანდათან მინელებული ბრძოლის ხმა 28 და 29 ივნისს სულ აღარ ისმის. მთელ ამოდენა ფრონტზე მყუდროება და სიჩუმე ჩამოვარდა. ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს სიჩუმე სრული არ არის, და დღეს თუ ხვალ აქ კვლავ იფეთქებს მკაცრი და საშინელი ბრძოლა. შეუძლებელია შორიდან ამ სიჩუმის ნამდვილ მიზეზის გამორკვევა. ერთნი ამბობენ, აქედან ჯარი გერმანიას საფრანგეთისკენ გადაჰყავსო, მეორენი ამტკიცებენ, რომ ავსტრო-გერმანელები ჯარის გადაჯგუფებას უნდებიან და დიდძალ სამხედრო მასალას აგროვებენო, მესამენი კი აცხადებენ, აქ ავსტრო-გერმანელები მცირე ჯარს სტოვებენ და მთავარი ძალა ჩრდილოეთით—ბუგო—ნარევის ნაპირებზე გადაჰყავთო. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ედვაბნო—ოსოვეცის პირზე ბრძოლა თანდათან ცხოველდება და გერმანელები დაჟინებით ცდილობენ აქ ბელოსტოკისკენ გიმოსვლას, შეიძლება ერთის შეხედვით თითქო მართალიც იყოს ბრძოლის ცენტრის გადატანა ჩრდილოეთისკენ, მაგრამ—გუშინაც ვსთქვით და დღესაც ვიმეორებთ,—ასეთ მომენტში ხოლმ-ლიუბლინიდან დიდი ჯარის გადაყვანა ჩრდილოეთისკენ ძალიან ძნელი და სახიფათო საქმეა, ვინაიდან ურიცხვი ჯარის გადაყვან-გადმოყვანა ათას ვერსის მანძილზე ბრძოლის დროს ერთ-ორ კვირაში მეტად სახიფათოა, რადგან მოპირდაპირემ რომ ცოტა „ინიციატივა და გამბედაობა გამოიჩინოს, შეუძლიან მტერი ნაწილ-ნაწილად დაამარცხოს. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ამ ჟამად რუსის ჯარი უფრო შეკუმშულია და გერმანელებზე უფრო სწრაფად შეუძლიან ჩრდილოეთიდან სამხრეთით დაეშვას, ან ლიუბლინ-ხოლმიდან ბუგო-ნარევზე ავიდეს და სანამ გზად მიმავალი გერმანელთა ჯარი მოეშველებოდეს, ჯერ ერთგან გაათავოს საქმე და მერე მეორეს მოუბრუნდეს. ცხადია მხოლოდ, რომ გერმანელები გეგმას სცვლიან და დღეს თუ ხვალ მათი ახალი განზრახვა უნდა გამოაშკარავდეს.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 30 ივნ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. **ზღვის რაიონში 28 ივნისს სროლა იყო. ოლთისის მიმართულებით ჩვენმა მზვერავმა რაზმმა შეუტია ოსმალთა ბანაკს, ბევრი მათგანი დახოცა და დანარჩენი ტყვედ წამოიყვანა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.**

პეტროგრადი, 30 ივნ. ოფიციალი. **მთავარსარდლის შტაბისაგან. ბობრ და ნარევის რაიონში კერძო შეტაკებები გრძელდება. საღამოს 28 ივნისიდან 29 ივნისის დილამდე ოსოვეცისა და ედვაბნოს მახლობლად საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს. სკროდის, პისისა და შკვის ხეობებში სროლა გრძელდება. სოფელ ტასარტაკ-ოლშინის რაიონში 29 ივნისს მტრის ქვეითა ჯარმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქნა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.**

პარიზი, 29 ივნ. საღამოს ოფიციალი ცნობა. მტერმა ზარბაზნები დაუშინა ლომბარდიზესა და ნიუპორის წინა მდებარე თხრილებს. ჩვენ ვუპასუხეთ და ჩავაჩუმეთ მტრის ორი ბატარეა. მიუხედავად მტრის ცეცხლისა და შხამიან ბოლისა, ჩვენ კონტრ-იერიშით დავიბრუნეთ გერმანელთა მიერ აღებული თხრილები. მდინარე ენის რაიონში სანაღმო ბრძოლაა. ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმი, რომელმაც მტრის გალერეია გაანადგურა. შამპანში სიჩუმეა. არგონებში განსაკუთრებით მარიტერეზის, ფურ-დე-პარის და ბოლანდას მიდამოებში ენერგიული სამხედრო მოქმედებაა. ლეპრეტის ტყის რაიონში კრუა-დეკარმის მახლობლად მტერმა ორჯერ სცადა შემოტევა. პირველი უკუგდებულ იქნა ჩვენი არტილერიის ცეცხლით, მეორე კი—შეჩერებული. სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს იმ პოზიციებთან, რომლებიც ჩვენ ლაფონტენთან ხელთ ვიგდეთ. ასეთივე სასტიკი საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს ვეტშტეინის ქედთან.

პარიზი, 29 ივნ. ოფიციალი ცნობა. არრასის რაიონში შხამიან ბოლის საშვალებით მტერი ცდილობდა სუშეს სამხრეთ ნაწილზე შემოტევას, მაგრამ უნაყოფოდ. მეორე შემოტევა მოახდინა მტერმა ნაშუაღამევის 2 საათზე და შესძლო სასაფლაოს აღება. უაზის ჩრდილოეთით მწვავე საარტილერიო ბრძოლაა. არგონებში ნაღმებით და ყუმბარებით იბრძვიან. ვევრში მტერი ზარბაზნების დაშენის შემდეგ შეეცადა შემოტევას, მაგრამ ყველგან უკუვაგდეთ. ვოგეზებში ამერკვილიეს სამხრეთ-დასავლეთით მტერმა ააფეთქა ნაღმი და შემდეგ რამოდენიმე რიგით შეეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ იერიში მოგერიებულ იქმნა მისთვის დიდის ზარალით. ჩვენ რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

პარიზი, 29 ივნ. რიბომ სამინისტროში კანონპროექტი წარადგინა, რომლის მიხედვით ეროვნულ თავდასაცველ კუპონების ღირებულება 7 მილიარდამდე ადის. დანიშნულ ვადას, 5 მაისს, შინაგანი სესხი 150 მილიონით მეტი იყო, ვიდრე განზრახული.

ლონდონი, 29 ივნ. ამერიკის ხომალდმა „ნორმანდიამ“ ლივერპულში 14 რუსის მეზღვაური გადმოსხა. ეს მეზღვაურები იმყოფებოდნენ რუსის ხომალდ „ლეო“-ზე, რომელიც გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა.

სტოკჰოლმი, 29 ივნ. კარგად ცნობილი თანამშრომელი შვედურ გაზეთებისა „გედბორგსკ-ნადელს-ტიდიგენში“ სწერს: იმპერიის კანცლერი გერმანიისთვის დიდ უბედურებად ჩასთვლიდა, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა დამოკიდებულების გამო საჭიროდ შეიქნეს ბელგიის ანექსიის გამოცხადება. მაგრამ საზღვრებში დარწმუნებულნი არიან, რომ ბელგიის ხელიდან გაშვება შეუძლებელია, ვინაიდან იგი იქნება ინგლისის ძლიერების გამძათილებელი საშვალება. ყოველ შემთხვევაში ბელგიის ბედი გადაწყდება აღმოსავლეთის ბრძოლის ასპარეზზე.

სტოკჰოლმი, 29 ივნ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ საბჭოს კავშირის გადაწყვეტილებით ხიძულებენ გერმანიის ქვანახშირის მალაროთა პატრონთ, რათა მათ შექმნან კავშირი. ყველა პატრონი მოვალეა გადასცეს ქვანახშირი გაერთიანებულ საზოგადოების განკარგულებაში, რითაც მთავრობას უფლება და საშვალება ეძლევა დაადოს ქვანახშირს გადაწყვეტილი ფასები.

სოლუნი, 30 ივნ. დედეაგაჩიდან იტყობინებიან, რომ იქ ჩასულა რამდენიმე ათასი სომეხი როდოსტოდან, ადრიანოპოლიდან და კირკილისიდან, ოსმალეთის მთავრობის მიერ განდევნილი.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის თავდასხმის ასაცილებლად ოსმალეთს მცირე აზიიდან 85.000 ქვეითა ჯარი გადმოჰყავს ოსმალეთის ფრაკიაში. საინჟინერო ბრიგადა, ნახევრად გერმანელებისგან შემდგარი, რამდენიმე ციხეს აშენებს ენოს-მიდიას მიმართულებით.

რომი, 30 ივნ. მთავარ შტაბის ცნობა 29 ივნისისა. კარნიაში ჩვენი ჯარის სასტიკ შეტევით მტერმა დასტოვა ზოგიერთი პოზიცია, წინდაწინ გაანადგურა ამ პოზიციების მცველი სიმაგრეები და უკან დაიხია. 28 ივნისს ღამით, ჭექაქუხილის დროს მტერი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენ პოზიციებზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. დანარჩენ ფრონტზე ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა.

თეირანი, 30 ივნ. ეინუდ-დოულეს კაბინეთის გადადგომა შახმა მიიღო, მიუხედავად ამისა კრიზისი გრძელდება. მოლაპარაკება და ინტრიგები კვლავ იწყება. ბუშირიდან ინგლისის მისიას ცნობა მოუვიდა, რომ ბუშირის საკონსულოს ახლო, გერმანიის აგენტის ვასმუსის შთაგონებით, სპარსელ მომთაბრეებმა მოჰკლეს ორი ინგლისელი აფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი.

პეტროგრადი, 30 ივნისი. გამოქვეყნდა უმაღლესი უკაზი 24 ივნისის თარიღისა, რომლის ძალითაც იწვევენ პირველი ხარისხის რატნიკებს დარჩენილ ვარშავის საგენერალ-გუბერნატოროდან და ხოლმის გუბერნიიდან.

სოლუნი, 30 ივნ. სანდო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ფლოტმა აღმოაჩინა და დაატყვევა გროტში, ცაგეზის ახლოს, სტრუნის შესართავთან 2000 ფუთი ბენზინი, რომელიც ეხლა გადაზიდულია კუნძულ მუდროსზე. მიტილენიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ფლოტმა, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდნენ გიდროპლანები, ზარბაზანი დაუშინა 25 ივნისს სმირნას, ვურლუს და აივალის, ამასთან ერთად ანატოლიის სანაპიროს ოსმალთა ბანაკის გასწვრივ. ოსმალთ დიდი ზარალი მოუვიდათ.

27 ივნისს გალიპოლის ნახევარ კუნძულზე კვლავ გიდმოსხეს 20,000 ფრანგ-ინგლისელი ჯარისკაცი.

მუდროსიდან 28 ივნისის თარიღით იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ჰაეროპლანი მოფრინდა ქალაქ გალიპოლს, ჩამოაგდო რამდენიმე ყუმბარა და საგრძნობი ზიანი მიაყენა ქალაქსაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიის ახალი ელჩი.

ექვსი კვირის ვადით, ავადმყოფობის გამო, სტამბოლიდან გავიდა გერმანიის ელჩი ვანგენჰეიმი. არის სერიოზული საბუთი, რომ ავადმყოფობის მოგონება უბრალო დიპლომატიური ხერხია და ვანგენჰეიმი სტამბოლში არ დაბრუნდება. საელჩოს საქმეების მართვა გადაეცა თავად გოგენლოე-ლანგენბურგს, რომელიც მახლობელი ნათესავია რუმინიისა და ბულგარეთის მეფეთა. თავის ნათესაური კავშირის წყალობით თავადი გოგენლოე დიდ როლს ითამაშებს სტამბოლში. უმთავრესად შეეცდება, რომ ბულგარეთმა და რუმინიამ ოსმალეთის წინააღმდეგ ხმალი არ აიღოს.

გერმანელები კალესკენ ილაშქრებენ.

ჰოლანდია-ბელგიიდან მოსული ამბები ადასტურებენ იმ ცნობას, რომ გერმანელები დიდის ძალით აპირობენ კალესაკენ გალაშქრებას. ბელგიის მთელი რკინის გზა ჯარების გადაყვანას უნდება. გერმანელებმა მოხსნეს რაც ბელგიაში გარნიზონებია და ჯარის ყველა თავისუფალი ნაწილი კალესკენ გაგზავნეს.

ვილჰელმის სიტყვა.

„Figaro“-ს ცნობით, იმპერატორ ვილჰელმს სიტყვა წარმოუთქვამს, სადაც გადაჭრით განუცხადებია, ომს ოქტომბრამდე გავათავებო.

გენადიევის დაპატიმრება.

გენადიევის დაპატიმრებამ საზოგადო ყურადღება მიიპყრო. დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ იმ ღვაწლს, რომელიც მან ავსტრიას დასდო.

შეერთებული შტატები და გერმანია.

გერმანული გაზეთი „Leipziger Neuste Nachrichten“-ი მკვახედ ლაპარაკობს შეერთებული შტატების გასაგონად. „ამერიკელებს ჰგონიათ, საკმარისია ასპარეზზე გამოჩნდნენ, რომ მთელი ქვეყანა აკანკალდეს. მომავალი უთუოდ იმედს გაუცრუებს მათ. ასი ათასი კაცის გაგზავნა ფლანდრიაში ამერიკელებს არ შეუძლიანთ, რადგანაც მათი სატერიტორიო პოლიცია ოთხმოც ათას კაცისაგან ძლივს შესდგება. მათი ჯარი მოხალისეთაგან უნდა შესდგეს, ხოლო ამერიკელი მოხალისეები, რუზველტის გარდა, არც ისე ხალისიანად მიდიან ბრძოლის ველზე. ომის გამოცხადებას ერთი აზრი ექნებოდა: ამერიკას შეეძლო სხვის ხარჯზე ფლოტი გაეჩინა, რადგანაც გერმანიის სამოცდა თორმეტი სატრანსატლანტიკო საუკეთესო გემი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ნავთსადგურებში დგას და მათი ღირებულება სულ ცოტა ნახევარ მილიარდს უდრის. გერმანელების ადგილ-მამული და სამრეწველო საქმეებიც გემრიელი ლუკმა იქნებოდა ამერიკისთვის. მაგრამ არა გვგონია, ამერიკამ გაბედოს ასეთი ძარცვა-გლეჯა. ყველა ეს რომ სახეში მივიღოთ, ამერიკასთან ომი ხელსაყრელი იქნებოდა გერმანიისთვის, რადგანაც იგი შესწყვეტდა სამხედრო მასალების მიწოდებას მოკავშირეთა ჯარებისთვის. ეს მასალები თვით შეერთებულ შტატებს დასჭირდებოდა. ამერიკის მიერ ომის გამოცხადების ამბავი ერთგვარ შიშს გამოიწვევდა ჩვენი ამერიკელ თანამოძმეთა ბედის შესახებ, მაგრამ ეჭვი არაა არც ერთ გერმანელს არც ერთი თეთრი თმა არ გაერეოდა ამ ამბვის გაგონებაზე“.

თვრამეტი ახალი კორპუსი.

26 ივნისის თარიღით გაზეთ „სტანდარტს“ ციურიხიდან ატყობინებენ: ივლისის დამლევს გერმანიას მზად ეყოლება თვრამეტი ახალი კორპუსი ე. ი. შვიდას ორმოცდა ათი ათასი ჯარისკაციო. ბრძოლის ფრონტზე ეს ჯარი გამოვა აგვისტოს პირველ რიცხვეში. ამასთანავე იმ ჯარის ნაწილი, რომელიც დღეს რუსეთის ფრონტზე იბრძვის, გერმანიაში დაბრუნდება საგარნიზონო სამსახურის გასაწევად.

ოსმალეთის მთავრობა და სომხები.

ოსმალეთის მთავრობამ სომხებს აუკრძალა ოსმალეთში ჩასვლა თუ იქიდან გასვლაო. მათ აეკრძალა აგრეთვე რაიმე მიწერ-მოწერის გამართვა უცხოეთში მცხოვრებ სომხებთან. ტალაატ-ბეის სიტყვით, 20 ჰანჩაკისტი იმიტომ დასაჯეს, რომ ამით დაშნაკცაკანებიც გაეფრთხილებიათო.

ენვერფაშისადმი მადლობა.

რადგან ენვერფაშა პორტებს ყუმბარების დაშენას ემუქრებოდა, ბულგარეთ-ოსმალეთის მომლაპარაკებელ კომიტეტისაგან მადლობა მიიღო.

ავსტრიის წინადადება.

სოფიიდან იუწყებიან: ავსტრიამ წინადადება მისცა რუმინიას, უკეთუ ავსტრიასთან ერთად რუმინია ბუკოვინაში გავა, ავსტრია ამის გამო აძლევს პრუტის საზღვრიდან დუნაის რკინის ბჭემდე და ბესარაბიას.

სომხების დევნა.

ბუქარესტიდან იუწყებიან, კონსტანტინოპოლში ეჭვი მიიტანეს, რომ სომხები ჯაშუშობდნენ. მათი დაპატიმრება გრძელდება. ქონება წაართვეს. მათ საიუმლოდ სჯიან.

პურის გაგზავნა ავსტრიაში

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრია-უნგრეთმა დაარღვია პირობა, რომლის ძალით მას ევალებოდა პურით დატვირთულ ვაგონების უმალვე უკან დაბრუნება, რკინის გზის გამგეთა თათბირმა, შრომის მინისტრის ანგელსკუს მონაწი-

ლეობით, დაადგინა, განაგრძონ პურის გაგზავნა ავსტრიაში და ვაგონების დაცალიერება მოახდინონ საზღვარზე. გარდა ამისა ნებადართულია საზღვარ-გარეთ პურის გატანა ცხენებით და სხვა საშვალებით, რომ მით შეუმსუბუქონ ავსტრიელთ მდგომარეობა (ბ. ვ.)

ᲛᲬᲐᲠᲔ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

საქართველოს ახალი საშინელი სტუმარი ეწვია: წარღვნა,

გუშინ ქართული გაზეთები მწუხარებით მოგვითხრობდნენ ქართლ-კახეთის მოსავალის გაფუჭებას გამუდმებულ წვიმების გამო. დღეს დასავლეთ საქართველოდან გულშემზარავი ამბები მოგვდის: საშინელმა ავდრებმა რიონი, ცხენისწყალი და სხვა მდინარენი ნაპირებიდან გამოიყვანა და წაალეკვინა ნახნავ-ნათესები, ვენახები, ხილის ბაღები და საქონელი იმერეთისა. ნათქვამია, ერთი უბედურება რომ ეწვევა კაცსა, ზედი-ზედ მრავალი სხვა უბედურებაც თავს დაატყდებაო. მათ შორის ბევრი ღვთისაგან არის, მაგრამ ბევრი თვით კაცისაგან. უკანასკნელი უბედურების მიზეზი უფრო ჩვენვე უნდა ვიყვეთ.

არც გასაკვირველია. მთელი უკანასკნელი 50 წლიწადი ჩვენს მიწა-წყალს დავშორდით, მის მოვლა-პატრონობაზედ ხელი ავიღეთ,

. . . .

. . . .

ამ ოციოდე წლის განმავლობაში ქართველი ინტელიგენცია—დიდ „უნივერსალურ-ინტერნაციონალურ“ იდეებით გატაცებული—ერთმანეთს დაერია და ეჩხუბებოდა: ვინ იყო უფრო მართალი: კარლ მარქსი, კრაპოტკინი თუ მიხაილოვსკი და მთელ ქვეყნიერობას ხელახლად აშენებას უპირობდა, ვისა ჰქონდა დრო და მოცლა ასეთ ვულგარულ, პროზაულ კითხვებზედ ლაპარაკისა, როგორც არის მამულის მოვლა, ინტენსიური დამუშავება და პატრონობა! ეს ხომ „მეწვრილმანე ბურჟუების“ საქმედ ითვლებოდა, და ამაყი ქართველი აბა რას იკადრებდა ასეთ წრეში ჩაწერვას?

ასე დავფრინავდით ზეცაზედ, ზიზღით მაღლიდან მიწას დავსცქეროდით და არ ვამჩნევდით, რომ ეს ძვირფასი განძი საქართველოსი ხელახლა ფეხ ქვეშ გვეცლებოდა და რაც ეხლა შეგვრჩა, იმასაც კატასტროფა მოელის,—აი, თუნდ დღევანდელ წარღვნისაგან. მოგეხსენებათ საქართველო განსაკუთრებით მთიანი ქვეყანაა. რასაკვირველია, რომ მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ორ ზღვას შუა გაჭიმული, და სამხრეთის ცხელი ჰავა ყოველთვის კაი ნიადაგი იყო დიდ წვიმებისათვის, რომელსაც დღესაც მოვესწარით.

რა შველოდა წინად ჩვენს ქვეყანას ასეთ წარღვნის დღეებში? საქართველოს დაბურული ტყეები, ფართოდ მოდებული ჩვენს მთებსა, ხეობებსა და ჭალებსა. ეს ტყენი დარაჯნი იყვნენ ჩვენი მთიან ქვეყნისა და ხალხის იმ ნარფლარ ნაშრომისა, რომელსაც ასე დაუნანებლივ, დღეს, წვიმის ტალღები აოხრებულს მიაქანებს. და ეს ხდება სწორედ იმ მიზეზით, რომ დღეს უპატრონო და მოუვლელი ქვეყანა იჯიჯგნება, იკუწება და იჩეხება.

გადახედეთ აღმოსავლეთ საქართველოს. კახეთის და ქართლის ტყეებს დღემდის გაშმაგებულნი ვჩეხავთ და სხვებსაც ვაჩეხვინებთ. მამულის უგულო მოვლის გამო და უცოდინარობისაგან ვჭრიდით იმავე ტოტს, რომელზედაც ვიჯექით. ამ წელს კახეთის მდიდარი ველი გადიდებულმა ალაზანმა უშველებელ ტბად აქცია. მასთან გამოღმა გატიტვლებულმა მთებმა თავის მრავალ ხეობებით, ნიაღვრებად მიადგა კახეთის ვენახ-სახნავებს, სამხრეთიდან გაიშალა და გაიტანა ყველაფერი, რაც კი გზაზედ შეხვდა. ცივ გომბორის გამელოტებულ ფერდოებმაც ასეთივე დღე დააყენეს გარე კახეთსაც.

ქართლის ტყეების გაჩანაგება ხომ კლასიკურია! ყველა გამვლელ-გამომვლელი ჰპარსავს ქართლს და ჩვენ კი პირი დაგვიღია და შევცქერით. დღეს თუ ხვალ ქართლის ველმინდვრები ჭაობებად და ტბებად გადაიქცევა. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება იმერეთიც. ხალხი აქ დღითი დღე მატულობს და იზრდება, გასავალს სხვაგან არსად ეძებს, ედება თავის ტყეებს, სჩეხავს და მის შემწეობით აფართოებს თავის მოსახლეობას. რა შედეგი მოსდევს ამას—ჩვენ ეხლა ცხადად ვხედავთ.

იმერეთის მდინარეთა გადიდებამ იქამდისაც მიაღწია, რომ ქუთაისსაც კი წალეკვას უპირობს. განა ეს წარმოსადგენია მეოცე საუკუნეში! განა შესაძლებელია ასეთი გულცივობა და უყურადღებობა ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ყოფნა-არყოფნის საქმეში! საქართველო სავსეა მდინარეებით, ხევ-ხუევებით, მთებით, და ნუ თუ დღეს მაინც არ ვათხოვებთ ყურადღებას და ბოლოს არ მოვუღებთ საშინელ სენს—ტყეების უღვთოდ ჩეხვისას?

ნუ თუ, საცა ღვთის წყრომით, ეს სიბოროტე უკვე ჩავიდინეთ, ეხლაც ზომებს არ მივიღებთ რომ სტიქიონმა მერმისშიაც ხალხის საზრდო—საბადებელი წყალს აღარ მისცეს? მდინარეთა ნაპირების გამაგრება, წყალსაცდენ კედლების აშენება, რუების გაყვანა და ბევრი სხვა ამნაირი აუცილებელი ზომები ქვეყნის დასაცავად—ნუ თუ დღესაც ნაადრევია?

ნუ თუ თღევანდელი კატასტროფაც არ გვეუბნება, რომ საჭიროა მამულის მხნე პატრონობა და საქმიანობა, საჭიროა ერობა, რომელიც გვიპატრონებს, საჭიროა სასტიკი კანონი ტყის დაცვისა და შენახვისა.

თუ ჩვენ გვსურს რეალი ცხოვრება და გამაგრება ერისა, ჯერ ლუკმა პურზედ უნდა ვიფიქროთ. დარწმუნებულნი ვართ ამ წარღვნის მწარე შედეგი სასარგებლოდ გამოგვადგება და პრაქტიკულ ნაბიჯს გადაგვადგმევინებს. საჭიროა დიდი და ფართე ორგანიზაციების მოწყობა, საჭიროა მცოდნე მომუშავე ხალხის სოფლად დატრიალება, საჭიროა კონცენტრაცია ჩვენი თანხებისა და ძლიერი საერობო ფონდი, საჭიროა ეხლავე ერობის შემოღება, თვით მართველობა, რომლის უქონლობა ასეთ განწირვის დღეებში მეტის-მეტად საგრძნობელია. ამიტომ მთელი ქართველობა ფეხზედ უნდა დადგეს, ახმაურდეს და დაჟინებით ითხოვოს. სადაც ჯერ არს, ერობის საჩქაროდ მოწყობა. ეს იქნება პირველი ჩვენი რეალი ნაბიჯი სამშობლო ქვეყნის მოვლა-პატრონობის დიდ საქმეში.

დ. კახელი.

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ

მეომარ ერთა მიმდინარე სინამდვილეში მკაფიოდ შემოიხაზა ერთი პსიხოლოგიური მომენტი. ეგ არის ერთი-მეორის ძებნის მომენტი, ფრიად სიმპტომატიური და ფრიადი მნიშვნელობისა. იგია შემრიგებელი სხვა და სხვა დასაბამისა, ჩვეულ ცხოვრებაში ერთი მეორეს რომ ვერ ინდობენ და მკაცრად იბრძვიან. ასე, ამრიგად, ერთი მეორეს უახლოვდება დასაბამი ბრძანებლობისა და მორჩილობის, დასაბამი ბატონობისა და უნებური ქვეშევრდომობის. თანდათან მკრთალი ხდება თითეული ამ დასაბამის შემოხაზულობა და ნელი-ნელ ერთი მეორის პენომბრაში შედის. სწორ თანამშრომლებად ხდება გუშინდელი მბრძანებელი და აღმასრულებელი, გუშინდელი ბატონი და ყმა. ასეთი მომენტი იშვიათია. იგი ღვიძლი შვილია დიდის განსაცდელისა და საბედისწერო კრიზისის. ასეთ განკითხვის დროს ჰქრება ჟინი ეგოიზმის, იჩრდილება დასური, კერძო და რაც რამ გარდამავალია ერის ცხოვრებაში. კერძოსა და დასურში იშვიათის სიმკვეთრით იღვიძებს ზოგადი, ზიარი—**ეროვნული მომენტი**—წინად რომ მივიწყების წიაღში სთვლემდა. ცასა და ქვეყანას ეჭვი შეჰქონდა მის არსებობაში. სულწასულებმა ნაადრევად ანდერძიც კი აუგეს მას. ეროვნული სული ძალა-დაცლილი ეგონათ, რაკი იგი ფარხმალს არ იქნევდა და... ავიწყდებოდათ რომ არსებული „სტატუს კვო“ უიმისოდაც იცავდა თავისუფალ ერის პიროვნებას. მაგრამ დადგა ჟამი განსაცდელის. ერთი ერი წამოიშალა მეორე ერის დასამარცხებლად. ხიფათისა და შებღალვის შიშის აჩრდილი შემოადგა თითეულს ერს და უმწვავალესის ალტკინებით ამეტყველდა განსაცდელის წინაშე. ერის პატივი, ერის სიამაყე და სირცხვილი, მთელი მისი წარსულის სული და აწმყოსი გრძნობადი სხეული, ამეტყველდა და გარდაიქცა საერთო კერპად, საერთო ლოცვის ხატად. ერთსულ და ერთხორც ორგანიზმად აღიმართა, რასაც ნაირ-ნაირობის სახე გადაჰკრავდა. წარიხოცა ზედაპირული ხაზები სხვადასხვაობისა და გამობრწყინდა წარუხოცელი, არსული და გარდუვალი. ჟამმა ბრძანა და მივიწყების წიაღში მთვლემარე ერთბაშად საყოველწუთო ზრუნვის მწვავე საგნად გადაიქცა და გულისყური ყოველთა თავისკენ მოიზიდა. ეროვნულმა მომენტმა თვითმპყრობელ მეფის სკიპტრა ალიღო და ყველა თავის ბრძანებას დაუმორჩილა. დავიწყებულმა შური იძია. თავისი თავი მოაგონა ერის შვილებს და ამათაც ერთმანერთის ძებნა დაიწყეს, ერთმანერთთან დაახლოვება. სამშობლოს დაცვის გულისათვის ჩამოვარდა მათ შორის მტკიცე თანამშრომლობა.

გარდა ეროვნული პიროვნების უზენაესობისა, სხვა ყველაფერი დავიწყების სავანეში ჩაესვენა. დასცხრა სოციალი განხეთქილება და შინაური აყალ-მაყალი.

რადგან ასე მოხდა, ბევრი ჰგონებს, რომ ეს უკანასკნელი ხელოვნურად ქმნილი სინამდვილე იყო და როგორც ესეთი გაჰქრაო სამუდამოთ. ავიწყდებათ, რომ ეს არის ჟამის მხოლოდ დროებითი განკარგულება.

ადრე თუ გვიან ქარქაშში ჩაეგება ხმალი, ეროვნობის თავზედ საბედისწეროდ ამოწვდილი. ხიფათი გაივლის. ეროვნული პიროვნების ხელშეუხებლობა და ნებისმიერი განვითარება მტკიცე გარანტიას მოიპოვებს. ასეთ ვითარების ჟამს ეროვნული **მომენტიც** ფარ-ხმალს დასდებს და ნელი-ნელ ჩაეშვება, საიდანაც ამოიჭრა იმ განსვენების წიაღში.

დადგება ხანა ერთი მეორის დავიწყებისა, დაშორებისა, ხანა შინაური ბრძოლის გამწვავებისა.

და ბევრს ეგონება კვლავინდებურად, რომ სინამდვილეა მხოლოდ კლასთა ბრძოლა, ინტრა-ეროვნული თვითჭამიობა, რომ ეროვნული ძალა და სოლიდარობა შეთხზული არაკია; რომ ეროვნება, თუ არ გარდასული, გარდამავალი კატეგორიაა. ასე ეგონებათ, ვიდრე ეროვნული სახე, ახალი საფრთხის წინაშე, კვლავ გამოაჩენდეს სიკვდილის კბილებს და აწვიმებდეს სისხლის წვიმებსა.

ხ. კ—დია.

წყალდიდობა დასავლეთ საქართველოში

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ

(დასასრული)

ამასობაში წყალმა საშინლად იმატა და უკვე მოჰგლიჯა სახერხავი ქარხნის მანქანები და მისცა წყალს, მიჰქონდა აგრეთვე წისქვილის მოწყობილობა გარდა ვეებერთელა ბორბლისა, რომელიც დღესაც მარტოდაა დარჩენილი ამოდენა გაპარტახებულ სამრეწველო მამულში. მოტაცებული ხეტყის მასალის ერთი ნაწილი იქვე მეზობლების ეზოებში გაერიყა და ზოგიც დაეჭირათ და გულდათუთქული პატრონი ახლა ამ მასალას კაკალ-კაკალა აგროვებს. საწყობის ორი მესამედი გატაცებულია, ეზო სულ ერთიანად აყრილი, საცხოვრებელი ბინის ძირა სართული კი ამოსილული და წყლით სავსე, საცხოვრებლად აღარ ვარგა.

ამნაირად ხათრიძის ზარალი, როგორც მან მითხრა მეორე დღეს ისევ გარეტიანებულმა, უდრის 30—40,000 მანათსო.

დიდად საგრძნობი ზარალი მიაყენა გუშინდელმა წყალდიდობამ ბალახვანსა და კახიანიურში ბაღებს ქანის და ბაბუნაშვილისას, რომლებიც თუმანოვის მამულში სამრეწველო მიზნით ფართო ხასიათის მებოსტნეობას ეწევიან, რუსეთში დიდძალ საქონელს გზავნიან: ლახანას, ოხრახუშს, სალათას, ბადრიჯანს, კიტრს და სხ. აქ მათ მეურნეობის ეს დარგი სამრეწველო კულტურის მოთხოვნილების მიხედვით აქვთ დაყენებული და სარფიან საქმიანობასაც ეწევიან. როგორც მცოდნეებმა გადმომცეს, მათი ზარალი უდრის 15—20,000 მანეთს.

აქვე აქვს ამგვარივე ბაღი უფრო მცირე მაშტაბით მარტინოვს და მებაღე კალ. კაკულიას, რომლებიც აგრეთვე სამრეწველო მიზნით აწარმოებენ ამ საქმეს და უცხოეთის ბაზარს აწვდიან თავის ზედმეტ საქონელს. ამათაც 5000 მანეთამდე მოსვლიათ ზარალი. მათი საადრიო პამიდორი და სხვა ნათესობა სულ გადულეკია წყალს.

500-დან 1000 მან. ზარალი მოუვიდათ აგრეთვე ბალახვანში წყალთა-შუა მებაღე-მეთესლეებს თევდორე კიწმარიაშვილს და თ. იობიძეს, რომლების ბოსტნეულობა და ყვავილები ისე ღრმად მისილა შემოტბორილმა წყალმა, რომ ნათესობა აღარაფრად ღირს.

ძმ. დათეშიძეების ხე-ტყის საწყობსა და სახერხავ მანქანების ქარხანაში წყალმა ვეღარა ავნო, ხოლო მასაც დაუზიანა რიონის ნაპირას გავლებული ქვის გალავანი და იქვე მახლობლად წაულეკა სიმინდით ნათესი გვარიანად მოზრდილი ყანა.

საგრძნობლად დაზიანებულია წითელ ხიდთან ვაჭართა სახლში ლიმონათის ქარხანა ქარსილავასი, მის გვერდით ავსარქისოვის არაყის ქარხანა, იქვე ალიბასტრის ქვის საფქვავი წისქვილი კურცოვისა, შემდეგ ძ. აბზიანიძეების ლიმონათის ქარხანა, დაბლა ფქვილის წისქვილი. თეთრი ხიდის ყურში სულ ჩალეწილია საზაფხულო სასტუმრო „იალტა“ და განადგურებულია მისი ყოველივე მოწყობილობა. იქვე დაზიანებულია ძმ. ჯანელიძეების ლიმონათის სასმელი სახლი და აბანოები, გვერდით ი. ხაინდრავას ლიმონათის ქარხანა და შემდეგ კი ყოველ წყლის პირა სახლი და ხეტყის საწყობები.

სახლები, ეზოები და ბაღები მოსილულ-მორიყული, მოტრეტილი და დანოტიებული ხომ რიონის პირად ყოველ მოსახლეს აქვს და ყველა მათგანის ზარალი ასიდან ათასი მანათით განისაზღვრება თითეულისა. ასე ითქმის საერთოდ და კერძოდ თითოეული დაზარალებული ოჯახის დაწვრილებით აღნუსხვა შეუძლებელია ჯერჯერობით, სანამ პატრონები თავზარდამცემ უბედურებით დაშინებულნი აგერ მესამე დღეა გონს ვერ მოსულან, არ იციან ვინ რა დაკარგა და რა გადაარჩინა მოზღვავებულ წყლისაგან. დღეს დღეობით ყველა მოსილულ, მორიყულ სახლების ოთახებს, ეზოებს, ნარკლებს და სხვა მისთ სწმენდენ და ეძებენ შიგ ჩაფლულ ნივთებს, საქონელს, ავეჯეულობას და სხ. ამგვარად დაზარალებულნი ჯერაც ვერ მოსულიერებულან 2—3 დღის უძინარნი, ნაწანწალები და ნარბენნი და არ გამოურკვევიათ ვინ რა დაკარგა.

ქუთათურთა მკვიდრის უბედურებას აორკეცებდა და შიშიანობის ზარს გვრიდა ის გარემოებაც, რომ მოზღვავებული რიონი იმ ორ დღეს სულ თანდათან მატულობდა და წყალს მიოჰქონდა აუარებელი დამზადებული ხე-ტყის მასალა ცალ-ცალკე დვიროებად, ტივებად და მოგლეჯილი ცოცხალი დიდრონი ხეები, სახლები, წისქვილები, ურმები, ღობეები, ოთხფეხი ცხოველები, ფრინველები და ადამიანებიც. ყოველივე ამის დანახვაზე ყველას ჟრუანტელი უვლიდა ტანში და გაიძახოდა: დაიღუპა მთელი ქვეყანა, რაღა გვეშველებაო. და მართლაც, ჯერ-ჯერობით ქუთაისში მოსული ცნობები გვიმტკიცებენ აურაცხელ ზარალს როგორც რაჭა-ლეჩხუმში ქუთაისამდე და ფოთამდე რიონისაგან, ისე სამეგრელოში ცხენისწყლისა და ინგურისაგან. მთელი ამ მხარის დაბალ-მაღლობი მიდამოები სულ წალეკილია და შიშველ-ტიტველი. იქიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ იქ ქონებრივ დიდ ზარალთან ერთად მრავალი ადამიანის მსხვერპლიც არისო. თუ ამგვარ გადმოცემებს დაეჯერება, მარტო ცხენისწყლის პირებზე 30—40 კაცის, ქალის და ბავშვების მსხვერპლი არისო.

ქვემო იმერეთის სოფლებიდანაც მეტად დაფრთხალ სოფლელებს ძალიან დამაღონებელი ამბები მოაქვთ ქუთაისში: იქაური ჭალა—დაბლობი ადგილები სულ წალეკილია და მოსახლეები აყრილიო. სარჩო-საბადებელი მრავალს მოგვტაცა წყალმა, შიშველ-ტიტვლები დაგვტოვაო.

ოკრიბიდან ჩამოსული გლეხობაც ამასვე ადასტურებს. იქაური ისედაც ფხიკირა ადგილები სულ წალეკილია და რაკი მთაგორიანი ადგილებია, ბევრ სოფლებში ზვავებია ჩამოწოლილი და გზები წამხდარი. ასე რომ აქაური გლეხის მეურნეობა 10—15 წლით უკან დაიხევს, რადგან ფერდობიანი ადგილებია და სულ ჩამოირეცხებოდა ნოყიერი სათესი მიწები.

არ გვაქვს ჯერ ცნობები მხოლოდ ზემო იმერეთიდან, რასაც, ალბად, ადგილობრივი კორესპონდენტები შეავსებენ ჩვენ პრესაში. მათი მოვალეობა და პასუხისმგებლობა დღეს გაცილებით დიდია, ვინემ ოდესმე ყოფილა. მათ მიერ რედაქციებისათვის მიწოდებული ცნობები ჩვენ ქვეყნის სოფლების დღევანდელ ვითარების შესახებ.

ჯერ კიდევ წარსულ წელს ადგა კარზე [illegible] შიმშილობა და ამაზე მაშინაც [illegible] მიერიდებული ხმა საწყალი ხალხისა, მაგრამ მთავრობის მოხელეები სულ „не создаваите голода“-ს გაიძახოდენ.

შიმშილობის ამბებით გადაჭრელებულია პრესა და ცხოვრებაშიც ყველა თავ-ქუდ მოგლეჯილი დარბის დამშეულთა საშველად.

ვნახოთ დღევანდელ მესამე ნაირ უბედურების გამოსაკვლევად და დაზარალებულთა, ნამეტურ სოფლელების, დასახმარებლად ვინ რა ღონეს იღონებს, როგორ იმუშავებს, რა ფხასა და უნარს გამოიჩენს, როგორ მალამოს მოსცხებს გალატაკებულთა იარებს. დღეს საქართველოს მკვიდრს კიდევ ერთი ზედმეტი საზრუნავი საქმე მიემატა, რომელზედაც ზრუნვა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებათა საქმეა და უეჭველია იგი ამაში აქტიურად ჩაერევა.

ამ სტრიქონების წერის დროს რიონმა უკვე ორი საჟენი დაიკლო და წალეკილი ადგილები მოსილულ-მორიყული უკვე იხილეს მათმა პატრონებმა, რომელთაც საზღაპროდ მიაჩნდათ დღევანდელი უბედურების შედეგები და ძლივს-ძლივობით ერკვევიან მომხდარ ამბებში.

ქუთაისის სამივე ხიდი ქუთაისის სპეციალისტ ინჟინრებს დაზიანებულად მიაჩნიათ და ჯერჯერობით მხოლოდ საქვეითოდ გახსნეს. მათი შეკეთება ან გადაკეთების იმედი კი ჩვენ დღეს არა გვაქვს ქალაქის კასას რომ ვიცნობთ. ორი მათგანის დახურვა კი ძლიერ გასაჭირში ჩააგდებს მცხოვრებლებს და ქალაქის მამები ახლავე უნდა შეუდგნენ მათთვის სპეციალი თანხის ძებნის საკითხს, რადგან ხიდებზე გადასახადის აღება ახლა შეწყვეტილია და დიდხანს ამის გაგრძელება ქალაქის კასასაც დაიზარალებს...

ქუთათური მწიგნობარი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. დღეს მთელი ქუთაისის გუბერნია დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ორი სამი დღეა ომის ამბებს ყურადღებას აღარც კი აქცევენ. ბუნებისაგან გამოწვეული სტიქიური ომი—წყალდიდობა და ნიაღვარი—მთელის სიმკაცრით თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს.

დღეს მხოლოდ ნიაღვრისაგან გამოწვეულ ზარალზეა სჯა და ბაასი. სხვა და სხვა კუთხეებიდან მოდის სხვადასხვა შემზარავი ამბები. ყურს უგდებ და გულში ჰფიქრობ: „უბედურ კაცს ქვა აღმართზე მოეწევა!“

24 ივნისს საქმის გამო ქუთაისში მოვხვდი. ამ დღეს დაუშვა წვიმამ. ქუთაისში შესწყდა ჩვეულებრივი მოძრაობა. რაც დრო გადიოდა, წვიმა თანდათან მატულობდა: რამდენიმე დღის შემდეგ მოვარდა ადიდებული რიონი. კლდე და ღრე, დიდი ხეები და კუნძები, დანგრეულ წისქვილის და სახლების მასალა თან მოჰქონდა.

რამდენიმე კაცი ტალღამ იმსხვერპლა, რადგან ზოგიერთნი სცდილობდნენ რიონისაგან მოტაცებულ მასალის დაჭერას.

რამდენიმე ხნის შემდეგ რიონი უფრო ადიდდა. წყალი ზოგიერთ ქუჩებში ჩადგა. ფერმას ქუჩაზე მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელი გახდა.

ისმოდა საშინელი გუგუნი. გააფთრებული რიონი დაბლა სართულებში შეიჭრა, წაიღო მრავალი ავეჯი. ზოგი ბინის პატრონი ისე გასძარცვა, რომ ტანისამოსის ამარა დასტოვა.

ჯაჭვის ხიდთან სახელოსნო სახლს ძირი გამოუთხარა და ხელსაწყობებიანად ერთად ჩანთქა მდინარემ. საბაღოსნო სკოლის ბაღი აღარაფრად ვარგა. წყალმა წაიღო მრავალი წისქვილი, დააზიანა რამდენიმე სახერხი ქარხანა. ფერმიდან ბალახვანამდე რაც კი მოჰხვდა რიონს, მთლად გაანადგურა.

მეორე დღეს დილით მდინარემ ჩამოატარა დანგრეული სოფლების ნიშნები: სიმინდის ტომრები, შინაური ფრინველი და სახლის ავეჯეულობა.

ზარალი ჯერ დაახლოვებით გამორკვეული არ არის.

ი. გ—ლი.

ლანჩხუთი. 24-ს ივნ. ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი. ბუნება ზანზარებდა, თითქოს ცა თავზე გვენგრევაო. დაუშვა საშინელი და კოკისპირული წვიმა, 25 ივნისს წვიმამ უფრო უმატა და მთელს ღამეს არ გადაუღია. საშინლად ადიდდა რიონი და მისმა ტალღებმა წალეკა ყოველივე ის, რაც მშრომელ გლეხსაც ცოტაოდენ იმედს აძლევდა. ტყის პირად მოსული სიმინდი ისე მოსპო, რომ პა-

ტრონი ერთს მარცვალსაც ვეღარ მიიღებს.

——

დაბა ხობი. ხობის წყალმა გადმოხეთქა ნაპირებიდან და გაანადგურა სოფელ ხორგას მიდამოები და დაბა ხობის ორივე ნაწილი. დაბეჩავებული ხალხი ასეთ საშინელების გამო ათასგვარ ცრუმორწმუნეობას ეძლევა.

——

ზუგდიდი. წარღვნაა თუ მეორედ მოსვლა? ასეთს ამბავს ჯერ არ მოვსწრებივართ, თუმცა მოხუცნი ამბობენ: უწინაც ყოფილა ასეთი წყალდიდობაო, მაგრამ ამდენი ზარალი არ მოუყენებიაო. პაწია მდინარე ჩხოუში, რომელიც ზაფხულობით ისე დაშრება ხოლმე, რომ საქონელი ძლივს სვამს წყალსა, სამის დღის განმავლობაში კოკისპირულ წვიმებისაგან ისე ადიდდა, რომ მცხოვრებნი საგონებელში ჩააგდო და ყველას შიშის ზარი დასცა. უგანათლებულეს თავადის მენგრელსკის მამულთან ბოგირი წაიღო. მდინარეს მოაქვს ქვა და ღორღი, ძირიანად მოგლეჯილი ხეები, განუწყვეტლივ მოაქვს დანგრეულ სახლის მასალა და ავეჯეულობა. სოფელ ჭკადუაშიდან დაწყებული, ვიდრე 25 ვერსის მანძილამდე ზუგდიდისკენ, განადგურდა ჭალები, სიმინდი და ნათესი. როგორც გადმოგვცეს, სოფელი კორცხელი, ბაში და სხვა სოფლები დიდად დაზარალებულან. აგრედვე ინგურისაგან დაზარალდნენ სოფლები ლია, ფახულანი, რიყე, შამგონა და რუხი. წყლის პირას სიმინდის ყანები წალეკა და დააზიანა ზოგიერთი ბორანი.

——

ფოთი. ადიდებული მდინარე კაპარჭინა თანდათან კლებულობს. მაგრამ რაც იყო 24 ივნისს, პირდაპირ აუწერელია. ღამე გადასული იყო, როცა მდინარემ გადმოხეთქა ქალაპოტს და ახლო-მახლო ადგილებში ისე შეიჭრა, თითქოს მტერი შემოსეულიყოსო. ელვა-ქუხილს, ჭექასა და გრიალს ერთოდა მცხოვრებთა შეშინებული ყვირილი და ძახილი. ხალხი დაფრთხა და მაღლობ ადგილებს მიაშურა. დედა-შვილს უძახოდა. თავს უშველეო, მამაკაცნი ნიჩბებით და დიდი ფიცრებით ხელში აქეთ-იქით დარბოდნენ, მაგრამ ვერაფერი გაეწყოთ.

ისმოდა პირუტყვთა ბღავილი, დაიღუპა მრავალი შინაური ფრინველი და საქონელი. წყალი შენობებში შევიდა, ნიაღვარმა მრავალი მაღაზია დააზიანა. ზარალს ვინ ასწერს, იგი მეტად დიდია.

——

ხონი. ცხენისწყლიდან გადმოვარდნილი წყალი შეიჭრა სოფელ სუხჩესა, ხუნწსა, ნაგვაზოუსა და სხვა სოფლებში.

ცხენისწყლის მარცხენა მხარეს: მათხოჯსა და კონტუათსა. წყალმა დაანგრია მრავალი სახლი, ამოსწყვიტა საქონელი და ფრინველი, ბევრგან ბეღლები წაიღო. წყალმა გამორიყა ადამიანის მრავალი დასახიჩრებული გვამი. ზოგისთვის კისერი მოუწყვეტია, ზოგისთვის ხელი, ზოგისთვის მკლავები მოუმტვრევია. აუწერელია ის უბედურობა, რომელიც ნიაღვარმა და წყალდიდობამ ხალხს თავს დაატეხა. აქა-იქ ღელეებში და ნაპირებზე დამხრჩვალთა გვამებია გამორიყული. ხალხი მოსდებია ნაპირებს და ეძებს თავიანთ უკვალოდ დაკარგულებს. ისმის გულსაკლავი მოთქმა და ქვითინი. ზოგი გვამი ხონში მოიტანეს.

ახალი ამბავი

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** საბჭოს კრებები ენკენისთვემდე შესწყდა. ვისაც რამე მოხსენების წაკითხვა სურს შემოდგომაზე საზოგადოების კრებებზე ან სხვა რამე საქმე აქვს საბჭოსთან, უნდა მიჰმართოს ან საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჟორდანიას (სოფ. წალვერში), ან მდივანს დ. კასრაძეს (თბილისი, „საქართველოს“ რედაქცია)

◆ **კრება.** დღეს საღამოს კრება ექნება ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გამგეობას. განსახილველია 1914 წლის საზოგადოების მოქმედების ანგარიში.

◆ **ახალი საზოგადოება.** რამდენიმე პირმა შუამდგომლობა აღძრა თბილისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს სოფ. ხაშურში მომხმარებელი საზოგადოების დაარსებისა.

◆ **გაზეთები აჭარაში.** ამ დროებით 30 ცალი ყოველდღიური გაზეთი მიდის ზედა და ქვედა აჭარაში. იგზავნება „აზრი“, „საქართველო“ და „სახალხო ფურცელი“. საყურადღებოა, რომ ზოგი აჭარელი თავის ფულით იწერს გაზეთს.

◆ **საღამოს კურსები აჭარაში.** ზედა აჭარაში ზოგიერთმა მოწინავე პირმა განიზრახა საღამოს კურსები დააარსოს წერა-კითხვის სასწავლებლად. ნება-რთვა აღებულია, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმეს აფერხებს „დედა-ენისა“ და რვეულების უქონლობა. ამ სახელმძღვანელოებს ჩქარა შეიძენენ და კეთილი განზრახვა განხორციელდება.

◆ **ეპისკოპოსი ანტონი.** ხმა დადის, ვითომც ეპისკოპოსი ანტონი სამსახურს თავს ანებებდეს.

◆ **სიმინდის განაწილება აჭარაში.** სიმინდის განაწილების საქმე აჭარაში თითონ ხალხმა იკისრა. არჩეულია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც წარმოადგენს ცენტრს. ამ კომისიასთან მჭიდრო დამოკიდებულება აქვს თითო სოფლიდან არჩეულ ორ-ორ კაცს, რომლებმაც თავიანთი მეზობლების მდგომარეობა უნდა აცნობონ კომისიას. როგორც ვიცით, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას სიმინდის საწყობი აქვს გახსნილი ბათომში, საიდანაც სიმინდის ატანა სოფლებში ხალხს აქვს ნაკისრები. ფუთი სიმინდის ატანა ჯდება 10—40 კ.

◆ **სახალხო კითხვები.** ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულმა ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობმა სექციამ სოფ. მეჯვრისხევში ოთხჯერ გამართა სახალხო კითხვები ბუნდოვანის სურათებით. ხალხი ბლომად დაესწრო. 5 ივლისს იმავე სოფელში ადგილობრივი ინტელიგენცია აპირობს წარმოდგენის გამართვას.

◆ **წყალდიდობა კახეთში.** როგორც გავიგეთ, აზღვავებულ კისისხევის მდინარე კალაპოტიდან გადასულა სოფ. კონდოლში და 48 მოსახლე გლეხი სულ ერთიან წაულეკია სახლ-კარიანად და ეზოვენახიანად. ზოგიერთ ეზოში მარტო ბოძები მოსჩანს, სხვა ყველაფერი სტიქიონის მსხვერპლი გამხდარა.

◆ **საზოგადოების გულგრილობა.** 30 ივნისისთვის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება იყო დანიშნული, რომელსაც უნდა განეხილა ი. გ. ალიბეგოვის მოხსენება ერობის შემოღების შესახებ ჩვენში. კრებაზე მხოლოდ 15 კაცი გამოცხადდა, რომელთა შორის 6 კაცი იყო საზოგადოების გამგეობის წევრი და მოსამსახურე, გაზეთების თანამშრომელი—3. ასეთი გულგრილობის გამო საგანი განხილულ არ იქმნა და მისი განხილვა გადაიდვა 10 ივლისისათვის.

◆ **თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი** კახეთიდან დაბრუნდა და თავისი თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ **სავალდებულო დადგენილების გადასინჯვა.** თბილისის გუბერნატორმა ბ-ნმა სტრახოვსკიმ წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობას, გადასინჯულ იქნას არსებული სავალდებულო დადგენილება შესახებ იმისა, რომ მეძეხვეებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ხსენებულ სანოვაგეთა დამზადება-გაყიდვის სანიტარულ მხარეს.

◆ **წყალსაყვანი ქუთაისში.** იმ ამხანაგობამ, რომელმაც მილებით წყალი უნდა გაიყვანოს ქუთაისში, ქუთაისის ქალაქის გამგეობას რამდენიმე ტეხნიკური და სტატისტიკური ცნობა მოსთხოვა. გამგეობას საჭირო ცნობები უკვე გამოუგზავნია ამხანაგობისათვის და ეს უკანასკნელი მალე შეუდგება მუშაობას.

◆ **სურსათი.** 30 ივნისს თბილისში მოტანილია; ფქვილი 11 ვაგ., ფხვნილი შაქარი 3 ვაგ., სპიჩკა 1 ვაგ,, მაკარონი 1 ვაგ., ქერი 3 ვაგ., ბზე 2 ვაგ., ნახერხი 2 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ქვის ნახშირი 3 ვაგ., ნავთი 3 ვაგ., ქაღალდი 2 ვაგ., მადნეული წყლები 1 ვაგ., ხორბალი 57 ფ., ბრინჯი 577 ფ., მარილი 2000 ფ., კიტრი 467 ფ., ერბო 107 ფ., ბალი 559 ფ., ახალი თევზი 386 ფ.

ვაჟა-ფშაველასთან

კვირა დილით ჩემს ოთახში შემოცქრიალდნენ პატარეები გაზეთით ხელში. მთელი იმათი ყურადღება მიპყრობილი იყო ერთ სურათზედ—გაზეთ „საქართველოს“ დამატებაში ვაჟას სურათი იყო. ერთბაშად მომვარდნენ და მკითხეს:

იგი ვინა ხატია აქა? ვაჟა, მთის არწივი, ჩვენი დიდი მგოსანი. წაგვიყვანე, გვიჩვენე. ჩვენ მისი ნახვა გვინდა.

ერთმანეთს აღარ აცლიდენ ლაპარაკს, თან ჩიოდნენ:

რა ვქნათ, გვინდა ვაჟას ლექსის დასწავლა, მაგრამ ძნელია, ძალიან გვიჭირს.

მეც უარი აღარ ვუთხარი და შევპირდი, წაგიყვანთ საღამოს და გაჩვენებთ მეთქი. ყმაწვილები სიხარულით ვეღარ ისვენებდნენ და თუ წინად ღმერთს გვიან დაღამებას სთხოვდნენ, ეხლა გაიძახოდნენ, ღმერთო ჩქარა დააღამე და ექვსი საათი ჩქარა მოიყვანეო.

მართლა საღამოს 6 საათზედ ვინახულეთ ჩვენი დიდებული მგოსანი, წოდებული მთის არწივად. მართლა რომ არწივია და არ შემცდარა მისი პირველად ამ სახელის დამრქმევი. მიუხედავად იმისა, რომ ის ეხლა ძალზედ სუსტად არის, მან თავის სიამაყე, ე. ი. არწივული გამომეტყველება არ დაუკარგავს.

მე პირველად ვნახე ვაჟა ახლოს, ისე ქუჩაში მისთვის რამდენჯერმე მომიკრავს თვალი, მაგრამ გაკვრით. როდესაც კარები გაგვიღეს და შევედი, გავოცდი. ვაჟა მართლა უფრო არწივს ჰგავდა, ვიდრე ავადმყოფ და დასუსტებულ ადამიანს.

ვაჟას ძალიან ესიამოვნა ჩვენი მისვლა. მან მე, როგორც უცხოს, დამიწყო გამოკითხვა: ვინ ვიყავი და რა. მერე მკითხა:

— მასწავლებელი ბრძანდებით?

ვუპასუხე:

— დიაღ, მასწავლებელი გახლავართ.

—გაოცებული შევცქეროდი და ვფიქრობდი, ნეტა როგორ და საიდან გაიგო ჩემი ხელობა მეთქი. ყმაწვილების მიყვანამ და ნახვამ მგოსანი დიდად გაახარა. აღარ იცოდა სიხარულისგან, როგორ მისალმებოდა. არ ვიცი ტკივილები აწუხებდა თუ პატარების ნახვა და სიხარული. საწოლში ვერ ისვენებდა, ხან წამოიწევდა, ხან დაწვებოდა და კიდევ ადგებოდა ხოლმე. სულ ბავშვებს შესცქეროდა და ეუბნებოდა:

— ჩემო გვრიტებო... ჩემო ჩიტებო... ბავშვები სიამოვნებით ღიმილით შესცქეროდნენ და სტკბებოდენ მისი ცქერით. ვაჟამ ბავშვებს დაშაქრული მისთავაზა და ამით ხომ ზეცას ასწია მათი გული. რადგან ჩვენ ცოტა დრო მოგვცეს მასთან დარჩენისა, მალე გავშორდით მგოსანს. პატარებმა თან მიიტანეს ცოცხალი ყვავილები, რომელსაც სიამოვნებით დაეწაფა მგოსანი.

ვნატრობთ მგოსნის განკურნებას და კვლავ მთებში დაბრუნებას. იქ ნავარდი უფრო შეჰფერის მთის არწივს, ვიდრე ოთახში დამწყვდევა.

მარიამ კალანდაძე.

ОСМАЛТА ГЕГМА

„რუსკოე სლოვო“-ში დაბეჭდილია ლიტოვცევის ბაასი ვანელ სომეხთა აჯანყების ერთ მეთაურთაგანთან—არამთან, რომელიც ამ ჟამად ვანის გუბერნატორად არის დანიშნული.

„ოსმალეთმა რომ სამზადისი დაიწყო ომისა, ჯარში გასვლა მოსთხოვა ყოველ სომეხს 20 წლიდან 45 წლამდე. ვანელებმა იცოდნენ, რომ ოსმალეთი რუსეთის საწინააღმდეგოდ ემზადებოდა და ჯარისკაცებს არ აძლევდნენ. ცნობები იყო, რომ ასევე იქცეოდნენ მუშსა, ზეითუნსა და არზუმში, მაგრამ იქ ისე ფართედ არ მოედო ეს მოძრაობა როგორც ვანში, რომელიც დაშნაკების ბუდედ ითვლებოდა. გარდა ამისა, ვანელი სომხები უფრო კარგად იყვნენ შეიარაღებულნი და გაბედულადაც იქცეოდნენ.

— ახალი და მძიმე საქმე გაგვიჩნდა,—ამბობდა არამი,—რადგან აქამდე ჩვენ ოსმალეთის წინააღმდეგ ვამზადებდით და ვამხედრებდით ხალხს, ეხლა კი საქმის ვითარებამ გვაიძულა ტაქტიკა შეგვეცვალა და დამშვიდება გვექადაგნა. ჩვენ რომ ოსმალეთისთვის ხალხი არ მიგვეცა, უნაყოფო ანარქია დატრიალდებოდა, რადგან არც ოსმალეთის გეგმა ვიცოდით და არც რუსეთის განზრახვანი. საჭირო იყო აჯანყების აცილება. ამისთვის გადავწყვიტე ხალხისთვის მაგალითი მიმეცა, ახალგაზდა სომხობა შევკრიბე და მუსიკით ვანის გუბერნატორს ვეწვიეთ.

— თქვენ ჯარისკაცები გინდათ,—აი, ინებეთ.

ბაასი გვქონდა ვანის გუბერნატორ ტასიმ ბეისთან და ახალგაზდა ოსმალთა პარტიის გავლენიან წევრ ნაჯი-ბეისთან, რომელთაც მოვაგონეთ საჭიროება სომეხთა შორის რეფორმების მოხდენისა და ასე გავაფრთხილეთ:

— დაუჯერებელია, რომ ამ ომში ოსმალეთმა გაიმარჯვოს. მან რომ გაიმარჯვოს კიდეც, სულ ერთია, ბოლოს უეჭველად დამარცხდება. იგი გამარჯვებულიც კი ვერ გაუძლებს ხარჯებს და ეკონომიურად გაკოტრდება, რაიც ბრძოლის ველზე დამარცხებაზე უარესია.

გვიპასუხებდნენ:

— ჩვენთვის ომი რუსეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია. რუსეთის მეზობლობა ჩვენს არსებობას მუდმივ ემუქრება.

შემდეგ მათ გადაგვიშალეს ჭკუამახვილი და ფანტასტიური გეგმა საზღვრების შეცვლისა. მათი ოცნება ასეთი იყო;

ოსმალეთი ხელში ჩაიგდებს მთელ კავკასიას და კავკასიის ქედსაც კავკავამდე.

სომეხ-თათართა საკითხს ოსმალეთი ასეთი გადასახლების გეგმით გადასჭრის: განჯისა და ერევნის თათრებს გადაასახლებს ბითლისისა და სხვა ვილაიეთებში, ხოლო იქაურ სომხებს გადმოასახლებს ვანისა და არზრუმის ოლქებში, რომელნიც შეუერთდებიან კავკასიას და შეტანილ იქმნებიან ავტონომიურ სომხეთში.

— გეგმას არა უშავს რა. მაგრამ როგორ აპირებთ მის განხორციელებას? ამისთვის საჭიროა კავკასიის დაპყრობა.

თურმე ახალგაზდა ოსმალნი დარწმუნებულნი ყოფილან, რომ ავტონომიის ალთქმა მოჰხიბლავდა კავკასიის ყველა მცხოვრებს, ისინი დაღისტანის ჩერქეზებზედაც კი იმედს ამყარებდნენ, მაგრამ ყველაზედ მეტად გერმანელების მსწრაფლსა და გადამწყვეტ გამარჯვებაზე.

ჩვენ არ გვჯეროდა გერმანიის გამარჯვება და გამოვსთქვამდით, რომ გერმანია ოსმალეთს ავანტიურის გზაზე დააყენებდა და კისერს მაშინ მოსტეხდა, როცა ეს მისთვის საჭირო შეიქნებოდა.

ტასიმ-ბეი და ნაჯი-ბეი თითქმის რომ ნაწყენნი დარჩნენ.

— რაო, ჩვენ განა პოლიტიკური ბავშვები ვართ? ვიდრე გერმანია ბესარაბიასა და ყირიმში არ იქნება, ომს არ გამოვაცხადებთ და როცა გამოვაცხადებთ, ერთის კვირის შემდეგ თბილისში ვიქნებითო! მათ უკვე აღნიშნული ჰყავდათ ის პირნი, რომელთაც უნდა ადმინისტრატიულად განეგოთ დაპყრობილი კავკასია.

ჩვენ განვუცხადეთ:

— ძალიან კარგი. მაგ პროგრამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან თქვენთან ერთად ვიმუშაოთ, მაგრამ ეხლავ გვითხარით, თქვენს გეგმაში რანაირად გამოიხატება ავტონომიური სომხეთი?

ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით მათი პასუხი: მაგაზე შემდეგ!

მათ ცოტა სხვანაირად განმარტეს:

— მაგას მაშინ განვაცხადებთ, როცა ყარსს ავიღებთ. ჯერჯერობით კი არაფერს ვიტყვითო.

— მაშინ ეს მხოლოდ უბრალო თამაში გამოდის. ვსთქვათ, ნაწილი ოსმალეთის სომეხ ინტელიგენციისა თქვენ თანაგიგრძნობთ. სომხის ხალხი კი არ თანაგიგრძნობთ. რით გინდათ მოჰხიბლოთ კავკასიაში მცხორები სომხები, რომელნიც სიმდიდრით და კულტურით არიან აღჭურვილნი?

ახალგაზრდა ოსმალთ შუბლი შეიკრეს და გვიპასუხეს: სჩანს, თქვენ არ გსურთ ჩვენთან მუშაობაო.

ისინი კარგად ჰგრძნობდნენ, რომ ჩვენ კარგა ხანია მათ დავშორდით, მაგრამ მაინც გვითხრეს:

— მოგვეცით მოხალისეებიო.

— მოხალისეებს არ მოგცემთ, მხოლოდ ლოიალობას დავიცავთ.

ამ სიტყვებთან ერთად ერთმანეთს დავშორდით.

ჩვენი თეატრის ბედ-ბედი

ყველას მოეხსენება, რომ ახალ თეატრის აგება თბილისში ძნელი მოსახერხებელია. ადგილი, მასალა და ფული დამზადებული რომ გვქონდეს, მაშინაც კი ისეთი მონუმენტალური თეატრი, როგორიც ჩვენ გვესაჭიროება, ხუთ-ექვს წელიწადზე ადრე ვერ აშენდება და ვერ მოეწყობა. განსაკუთრებულმა საამშენებლო კომიტეტმა, კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან შემდგარმა, შემოწირულებათა შეგროვებაც კი შეაჩერა, რადგან ომიანობის გამო ქართველს ერს ათასნაირი საჭირბოროტო მოთხოვნილება დაატყდა. სათეატრო ადგილის შეძენისა, შენობის გეგმაპროექტისა და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის შესახებ ჯერ არა ისმის-რა. მაშასადამე, ახალ თეატრის აგებასა და მოწყობას უფრო დიდი დრო, შრომა და მეცადინეობა დასჭირდება.

რა მოელის ამ დროს ჩვენს ცენტრა-

ლურს სცენას თბილისში, ან რა დღე დაადგებათ ჩვენს არტისტებს, უიმისოდაც ბედისაგან მძლავრად დაჩაგრულთ? ნუ თუ თავი უნდა მივანებოთ,—თქვენ თითონ შეადგინეთ ამხანაგობა და კანტი-კუნტად, აქა-იქ თითო-ოროლა წარმოდგენა გამართეთ სადმე, სადაც სამადლოდ კარს გაგიღებენო.

რას ჰფიქრობდა და რას აპირებს დრამატიულ საზოგადოების გამგეობა?

ამ საკითხის პასუხი მხოლოდ თავად-აზნაურთა კრებაზე გავიგეთ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობა არც-არას ჰფიქრობდა თურმე და არცარას აპირებდა. დასაბუთებული შუამდგომლობაც კი არ აღუძრავს თავად-აზნაურთა საკრებულოს წინაშე, რომ ჩვეულებრივი დახმარება მაინც მისცემოდა ქართულ სცენას და ქართველ არტისტებს იმ დროს, როცა ეს უფრო საჭიროა, რადგან მუდმივი კერა აღარა აქვთ. კიდევ კარგი, რომ საკრებულოს თავის მხრივ ხუთასი თუმანი გადაუდვია ქართულ სცენისათვის. როდესაც თავად-აზნაურთა კრებამ თავისი თანხა მთლად გაანაწილა, მხოლოდ მაშინ წარდგნენ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრები და მჭერმეტყველურად ამტკიცებდნენ—ქართულ სცენას მეტი დახმარება უნდა მისცეთო. ვის, როგორ, რისთვის, რავდენი?—ეს სულ გამოურკვეველი დარჩა. ისიც-კი ვერა სთქვეს გამგეობის წევრებმა—არტისტთა დასი ეყოლებათ მომავალს სეზონში, ან სურვილი აქვთ იყოლიონ, თუ არა.

ეხლა კი გაზეთებში ვკითხულობთ, ვითომც დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს დასი იყოლიოს და ცირკის პატრონთან გაუმართავს მოლაპარაკება. ერთს რუსულ გაზეთში ნათქვამია, ვითომც ეს განზრახვა დრამატიულ საზოგადოებას ეკუთვნოდეს, თუმცა ამ საზოგადოების კრება მის გამგეობას შემოდგომის აქეთ არ მოუწვევია.

რადგან ეხლანდელი გამგეობა ბევრს შემთხვევაში საზოგადოების დაუკითხავად მოქმედობს, ადვილი საფიქრებელია, ვაი თუ ეს საცირკო საოხუნჯო თუ სავალალო ამბავი თვით გამგეობისაგან მომდინარეობდეს დ ჩვენს თეატრს მართლა ცირკში ამოაყოფინონ თავი. ამიტომ საჭიროა გამგეობამ დუმილი დაარღვიოს და საქმის ვითარება საზოგადოებას აცნობოს.

ნუ თუ ჩვენს თეატრს უკეთესი ბინა ვერ აღმოუჩინეს? ნუ თუ ხუთისა და ექვსის წლის განმავლობაში ჩვენი თეატრი გარიყულად უნდა დარჩეს და ჩვენის არტისტების ხანგრძლივი ღვაწლი ესე ადვილად უნდა ჩაიშალოს?

თუ ეხლანდელ გამგეობას მეტი უნარი არა აქვს, გვონებ, მისი მოვალეობაა საზოგადოება მოიწვიოს და საქმის ვითარება გააგებინოს.

თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ცირკის შენობა, ვერის ხიდთან ქარ-ბუქისთვის მარად ღია, არავითარ თეატრს არ გამოადგება, მაგრამ, სხვა გზაც რომ არა გვქონდეს, დრამატიული საზოგადოება ქართულ თეატრს საცირკოდ ვერ გაიმეტებს.

ქართული თეატრი ისეთი კულტურული დაწესებულებაა, რომელიც საჭიროა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ მის მეზობლებისა და თვით სახელმწიფოსათვის, რადგან მკვიდრის ერის გაწვრთნა და მისი ზნეობის გაფართოება სხვებსაც ხელს უწყობს მშვიდობიან არსებობისა, აღებ-მიცემობისა თუ სხვაგვარ სასარგებლო მოქმედებისათვის ჩვენს ქვეყანაში. თეატრის მნიშვნელობა მთავრობამაც კაგად იცის,

თუ ცეცხლმა მოსპო ჩვენი თეატრი, მთავრობა მოვალეა დახმარება აღმოგვიჩინოს, როგორც ეხმარება რუსულს თეატრს სატახტო ქალაქებსა და თბილისში.

ადგილობრივი სახაზინო თეატრი განსაკუთრებით ოპერებსა და ოპერეტტებს ეთმობა, იშვიათად—დრამას, ხშირად—სხვა და სხვა სანახავებს, გასტროლერებს და ბალეტს, რომლებსაც თეატრის დანიშნულებასთან საერთო თითქმის არა აქვთ რა.

ჩვენც სწორედ ამ სახაზინო თეატრს უნდა მივაპყროთ თვალი, იქ უნდა გავიჩინოთ ბინა, ვიდრე საკუთარს სასახლებს ავაშენებდეთ. ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ უნდა იშუამდგომლოს, რომ ამ სახაზინო თეატრში **სრულიად უფასოდ** ორი საღამო დაუთმონ კვირითკვირამდე ზამთრისა და გაზაფხულის სეზონის განმავლობაში. ზნეობრივი უფლება გვაქვს სრულიადაც კი მოვითხოვოთ საერო თანხიდან და თვით ხაზინიდანაც, რადგან მის ზრდაში ქართველებიც იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ამ გზობით სუბსიდიებს ნუ გამოვეკიდებით, სახაზინო თეატრის შესახებ-კი მტკიცე მოთხოვნილება უნდა წარვუდგინოთ. ამ მოთხოვნილებას მხარი უნდა მისცენ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმაც.

სამართლიანი იქნება ასეთივე მოთხოვნილება სხვა თეატრების პატრონებსაც განვუცხადოთ თბილისში, ხოლო შესაფერი ქირა აღვუთქვათ. წარმოუდგენელია და მასთან ფრიად სათაკილო, რომ საქართველოს შუაგულ და მის დედა-ქალაქში სხვა ერების თეატრები პარპაშობდნენ და ქართული თეატრი-კი ცირკში იკუნტებოდეს.

ვისაც ჩვენი მეზობლობა სურს,

მათ ჩვენი კულტურული საჭიროებაც უნდა ესმოდეთ. და ქართული თეატრი ქართველ ერის საჭიროებად რომ გადაქცეულა, ამის უტყუარი საბუთი ის ათასიოდე თუმანია, რომელიც გროშობით არის ათი-ათას და ასი-ათას ქართველ მუშა-გლეხებისაგან შემოწირული, თუმცა მოწოდება ჯერ არაა გამოცხადებული.

არ მგონია, ჩვენმა მფარველებმა და მეზობლებმა ჩვენი საერო ჭირი ამ შემთხვევაში „ღობის ჩხირად“ მიიჩნიონ და, თუ ეს ასე მოხდა, ერთი თვალ-საჩინო საბუთი კიდევ შეგვემატება მოყვრობისა და გულშემატკივრობისა.

უარს ნუ მოვერიდებით! დროა—განვაგდოთ ძვალ-რბილში გამჯდარი ტარიელიზმი—ზრდილობიანობა, მორიდება-სიამაყე.

შიო დავითიშვილი.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება

კრება შესდგა 28 ივნისს ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. კრების გახსნისას დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ნიკო ლომოურის ხსოვნას. შემდეგ კრებამ განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1914 წლისა. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონია 6 ჩვეულებრივი, 5 საგანგებო და 1 წლიური კრება. კრებებზე მოხსენებანი წაუკითხავთ: 1) დეკ. კ. კეკელიძეს „ანტონ კათალიკოზის სალიტერატურო მოღვაწეობა“, 2) ი. ი. აბულაძეს „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები ჩვენს საგანძურებში“, 3) ლეონ მ. მელიქსეტ-ბეგოვს „სომეხთა მოქცევის ქართული თარგმანი მეთერთმეტე საუკუნეში“, 4) ა. ი. სარაჯიშვილს „ეგრედ წოდებული არტანუჯის ვარიანტი ვეფხის-ტყაოსნისა“, 5) მღ. პ. კარბელაშვილს „იონა ბერი ხელაშვილი“ და „ქართული სტამბის ბედი მეთვრამეტე საუკუნის დამლევს“, 6) ე. ს. თაყაიშვილს—შესახებ თავისი მოგზაურობისა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში, 7) ი. ა. ყიფშიძეს—„მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“, 8) მღვ. ვ. კარბელაშვილს—„შატბერდელ კრებულის გადაწერის დრო“, 9) ს. რ. გორგაძეს—„საქართველო მეექვსე საუკუნეში. გარდა ამისა საზოგადოების სახსართა გასაძლიერებლად პრ. ი. ჯავახიშვილს წაუკითხავს 2 ლექცია-—„საქართველოს ეკონომიური წესწყობილება მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში. საანგარიშო წელს საზოგადოების საბჭომ სხვა და სხვა მონასტრებში მხატვრებს გადაალებინა იშვიათი ფრესკები და ფოტოგრაფიული სურათები სიძველეთა. ამას გარდა საბჭომ დაასრულა ბეჭდვა „ძველი საქართველოს“ მესამე ტომისა, დაბეჭდა მეოთხე ტომის საკმაო ნაწილი, შეუდგა „საქართველოს სიძველის“ პირველი ტომის ბეჭდვას და სხ.

კრებამ განიხილა აგრეთვე და დაამტკიცა 1914 წლის ანგარიში, რომლის ბალანსი უდრის 53,296 მან.; აგრეთვე დამტკიცებულ იქმნა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის მიხედვით საზოგადოება მოელის შემოსავალს 10,457 მან.

კრებაზედ მოხსენება წაიკითხა პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა იოსებ ყიფშიძემ „მეგრელთა ზოგიერთი რწმენანი და ჩვეულებანი“. მომხსენებელი შეეხო მეგრელთა წარმართობის დროის ღმერთებს და **დაადასტურა** ის აზრი, რომ უძველესი კულტი მეგრელებისა იყო მთვარის პატივისცემა. ლექტორმა აგრეთვე ჩამოთვალა სხვა ღვთაებანი მეგრელთა საწარმართო სარწმუნოების, ხალხის ზნე-ჩვეულების და ზეპირსიტყვაობის მიხედვით. მოხსენებას მოჰყვა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს იუსტინე აბულაძემ, თ. კიკვაძემ და სხ. დასასრულ კრებამ აირჩია საზოგადოების ახალი წევრები.

ჩვენი ცხოვრება

კახეთი. ყოველმხრივ გაჭირვებასთან ერთად განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია ვენახების მდგომარეობა. რამდენიც უნდა დაწერილიყო ამ საგნის შესახებ, ისევ განმეორებით შეიძლება ამაზედ წერა, რადგან ვენახი ცხოვრების უმთავრესი სახსარია კახელებისათვის. შაბიამანი და გოგირდი რომ არ არის, ეს უკვე ცნობილია; ისიც ცნობილია, რომ თუ რომელიმე ჩარჩს შემთხვევით ჩავარდნია ხელში ეს საწამლო მასალა, ისე მამასისხლად ჰყიდის, რომ იშვიათად თუ ვინმე შესძლებს იმის ყიდვას. ველისციხესა და სიღნაღში ფუთ გოგირდს, ვისაც კი აქვს, 28 მანეთად აფასებენ. საიდან შეუძლიან სოფლის გაძვალტყავებულ გლეხს იმის ყიდვა? ხალხს იმედი ჰქონდა, რომ იქნებ გამოიდაროს და ვაზის ავადმყოფობამ ფეხი ვერ მოიკიდოსო. მაგრამ, როგორც ხედავთ, ბუნებამ სულ სხვა თვალით გადმოგვხედა: გამუდმებულმა წვიმებმა ისე გააძლიერა ობი და ნაცარი, რომ არა თუ უწამლოდ, ოთხჯერ წამლობითაც ვერას გავხდებით. განსაკუთრებით იღუპება ვენახები ალაზანს გაღმა სოფლებში, საცა ყველა სოფელს მდინარე ჩამოუდის და საზოგადოდ მომეტებული ნოტიო არის იქ, ხოლო წლევანდელ წელს ხომ დალპა იქაურობა და ასეთი ამინდი, როგორც ვიცით, დიდად გამაღონიერებელია ვაზის ობისა და ნაცრისა. აქედანვე უნდა ვიცოდეთ, რომ წელს ღვინის მოსავალი სრულიად არ იქნება კახეთში და ამასთანავე ვაზებიც ძალზე დაიჯაბნება.

დ. მ-ძე.

ნიაღვარი ბორჩალოში.

მრისხანე ბუნებამ არც ბორჩალოს მაზრა დასტოვა გაუნადგურებლად. რამდენიმე დღის წინად კოკისპირულმა წვიმამ ისე მოაზვირთა პატარა ხევები და შულავრის მდინარე, რომ ამის მსგავსი, როგორც ასი წლის მოხუცნი ამბობენ, თავის დღეში არა ყოფილა-რა. მარტო შულავერშია დაქცეული 36 სახლი, რომელთა რიცხვში ბევრი ორ-სამ სართულიანი, ვენახები, მარნები და სხვა შენობანი ზოგი მოტაცებულია და ზოგიც წალეკილი. მთელი ერთი ოჯახი, რომელიც 4 სულისაგან შესდგებოდა, წყლის ზვირთებმა მოიტაცა და მესამე დღეს იპოვეს მათი გვამები. შულავრის გარშემო სოფლებს უარესი დღე დაადგათ. სოფ. ხოჯორნაში ძალზე დაზიანდა სახლი განსვენებულ თავადის დ. მელიქიშვილისა. განსაკუთრებული კომისია თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებლის კ. ი. სვიმონიშვილის თავმჯდომარეობით შეუდგა ზარალის აღნუსხვას, მაგრამ ჯერ მარტო შულავრის დათვალიერება მოასწრო. ყოველ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რომ ზარალი 1 მილიონ მანეთს აღემატება.

თელავი. თელავიდან იტყობინებიან: დიდ უბედურობაშია ჩავარდნილი დღეს მთლად კახეთი. თელავის მაზრაში განუწყვეტელმა წვიმებმა გაახრა ვენახები. ამას ზედ დაერთო ზოგიერთ ვენახების შეუწამლობა, რამაც ისინი ისე გააფუჭა, რომ მომავალ წლებისთვისაც დიდად საეჭვოა, თუ რაიმე ნაყოფის მოცემა. უბედურება უბედურობას მოსდევს. ვისმე თუ რამე ნახნავი ჰქონდა, მთლად გაფუჭებულია. გლეხკაცობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. არ იცის რა ჰქნას. ყოველი კახელი ღრმად ჰგრძნობს, რომ მას შიმშილი სულთამხუთავად დღე-დღეზე კარის წინ აეტუზება და რა იღონოს არ იცის.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს: 1) ნატროშვილმა ანტონ პეტრეს ძემ: ა) ორყურიანი ქილა და ბ) შუბის პირი ბრინჯაოსი; 2) მიხეილ ალექსანდრეს ძემ გიჟიმყრელმა: ა) თბილისში მოჭრილი სპარსული თეთრი; 3) იასონ დავითის ძემ ციციშვილმა: ა) ფრთის კალმის საჭრელი მანქანა, ბ) ციციან გვარეულობის გერბი და დ) მინაზე ნახატი მაცხოვრის ხატი, ანტონ კათალიკოზის ნაქონი; 4) მიხეილ როსტომის ძემ ლომთაძემ: ა) ერთი ბიზანტიური შავი ფული, შვიდი თათრული და ერთი ავსტრიული; 5) მასწავლებელმა ვლადიმერ ბერიძემ: ა) ოთხი ქართული თეთრი, ერთი რუსული თეთრი და ერთიც პოლონური თეთრი (ეს ფულები გადმოგვცა იოსებ მერკვილაძემ); 6) გრიგოლ მეგრელიშვილმა: ა) ერთი საბუთი და სამი ხელნაწერი რვეული; 7) გრიგოლ ბაბალაშვილმა (ფოტოგრაფმა): ა) გრიგოლ ორბელიანის სურათი, ფოტოგრაფია ფერადებით შეკეთებული (გადმოგვცა თემის რედაქციამ); 8) რაჟდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ: ა) ორმოცი ცალი თეთრი და პირმომტვრეული კოჭობი, არქიელის გორაზე მიწაში ნაპოვნი (გადმოგვცა კონდრატი სერგის ძემ მხეიძემ); 9) სევასტი მ. გაჩეჩილაძემ: იუმორისტული ჟურნალები („ხუმარა“, „ოხუნჯი“, „ცეცხლი“, „მასხარა“, „ზურნა“, „ბზიკი“ და „ეკალი“); 10) გიორგი დურმიშხანის ძემ ჟურულმა: ა) თავის დედის პორტრეტი (ფერადებით შეკეთებული ფოტოგრაფია); 11) გედეონ გელოვანმა: ა) ერთი პატარა რვეული ფშავხევსურეთში და თუშეთში შეკრებილ ლექსებისა.

საზოგადოების საბჭო გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

წერილი რედაქციის მიმართ

პასუხად ბ-ნ კ. გ. ფოცხვერაშვილს.

მიკვირს და გამკვირვებია, ბატონო კოტე, რა ისეთი „თქვენდა დამოუკიდებელი მიზეზი“ გაგიჩნდათ, რომელმაც გაიძულათ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წევრობაზე უარი გეთქვათ. უფრო ის მაკვირვებს და მაღონებს, რომ ჩვენი პირადი კეთილი ამხანაგური განწყობილებაც დაივიწყეთ და გაზეთში ოფიციალ წერილის დაბეჭდვამდე ორიოდე სიტყვით მაინც არ მაცნობეთ თქვენის ასეთის დემონსტრატიული საქციელის მიზეზი. თორემ, ვიმეორებ, ეს საქციელი ერთობ გაუგებარი და მოულოდნელია ჩემთვის.

ყოველ შემთხვევაში, რაკი თქვენ პირდაპირ გაზეთს მიმართეთ, მეორე მხრივკი შესაძლებელია თქვენმა განცხადებამ არასასურველი მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს საზოგადოებაში, გთხოვთ გაზეთისავე საშუალებით ნათლად და გარკვევით გაგვაგებინოთ თქვენი ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოებიდან გასვლის ნამდვილი მიზეზი.

ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჟორდანია.**

ს. წალვერი.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . .	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	8 „	58 „	„
ვაზიანიდან . . .	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან . . .	11 „	58 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	56 „	„
მელაანიდან . . .	2 ს.	16 წ.	სად.
გურჯაანიდან . . .	3 „	37 „	„
კარდენახიდან . . .	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე . .	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან . . .	3 ს.	42 წ.	სად.
ვაჩნაძიანიდან . . .	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან . . .	9 „	41 „	„
გურჯაანიდან . . .	10 ,	24 „	„
მელაანიდან . . .	11 „	39 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან . . .	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	5 „	13 „	„
თბილისში , . . .	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან . . .	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . . .	9 „	25 „	„
გურჯაანში . . .	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან . .	5 ს.	55 წ.	სად.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	სად.
№ 10 ბათომიდან. .	9 ს.	51 წ.	დილ
ჯულფიდან. .	6 ს.	53 წ.	დილ
ბორჯომიდან .	7 ს.	25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ . .	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ . .	7 ს.	3 წ.	სად.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ . .	8 ს.	53 წ.	სად.
ჯულფისკენ .	10 ს.	23 წ.	სად.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

იძლევა ერთი მოზრდილი

ოთახი

უკუხნოთ მხოლოდ ერთისათვის. ვერა, ანანაურის შესახვევი № 7, ბინა შ. ქუჩუკაშვილისა. წყალი ზედ ბალკონზე. 3—1

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—18)

მეხილეთა ამხანაგობა

„ქართლი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეწველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.